

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1.	კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
2.	კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
3.	კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
4.	კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
5.	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-13

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,383,006	2,926,321
არამატერიალური აქტივები		5,469	4,838
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		228,897	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,617,372	2,931,159
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5	5,188,988	4,046,195
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,656,482	1,107,458
მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები		620,284	46,592
გაცემული სესხები	7	956,393	873,826
მისაღები პროცენტი	7	417,995	262,768
სხვა მიმდინარე აქტივები		1,104,703	713,784
ფული და ფულის ექვივალენტები	8	960,676	359,541
სულ მიმდინარე აქტივები		10,905,521	7,410,164
სულ აქტივები		14,522,893	10,341,323
საკუთარი კაპიტალი			
დაგროვილი მოგება		211,947	1,061,660
ძირითადი საშუალებების გადაფასება		355,325	355,325
გაუნაწილებელი მოგება		4,104,182	3,042,522
სულ კაპიტალი		4,671,454	4,459,507
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	961,718	1,288,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		961,718	1,288,119
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		394,682	165,294
გამოუმუშავებელი შემოსავალი		7,157,154	2,881,920
საგადასახადო ვალდებულებები		73,351	109,921
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,229,152	1,403,290
გადასახდელი პროცენტი	9	35,382	33,272
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,889,721	4,593,697
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,522,893	10,341,323

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ, 2025 წლის 30 სექტემბერი

დამირ მიქელაძე
დირექტორი



5-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	9,402,345	9,774,540
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11	(7,057,814)	(7,274,033)
საერთო მოგება		2,344,531	2,500,507
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,109,178)	(739,488)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(725,777)	(521,983)
ცვვთა და ამორტიზაცია		(186,305)	(176,605)
საოპერაციო მოგება		323,271	1,062,431
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		202,237	234,203
საპროცენტო ხარჯი	9	(328,956)	(229,352)
საპროცენტო შემოსავალი	7	155,227	114,916
მოგება/(ზარალი) გადაფასებიდან	13	(87,499)	(56,694)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(52,332)	(63,844)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		211,947	1,061,660
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		211,947	1,061,660
სხვა სრული შემოსავალი			
შემოსავალი ძირითადი საშუალებების			
გადაფასებიდან		-	355,325
მთლიანი სრული შემოსავალი		211,947	1,416,985

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ, 2025 წლის 30 სექტემბერი.

დამირ მიქელაძე
დირექტორი



შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწედბო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დივიდენდის გაცემა	გაუნაწილებე ლი მოგება	ჯამი
ნაშთი 1 იანვარი 2023	692	2,956	(30,000)	3,070,875	3,044,523
პერიოდის წმინდა მოგება(ზარალი)	-	-	-	1,061,660	1,061,660
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	353,325	-	-	353,325
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	692	356,281	(30,000)	4,132,534	4,459,507
პერიოდის წმინდა მოგება(ზარალი)	-	-	-	211,947	211,947
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	692	356,281	(30,000)	4,344,481	4,671,454

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ, 2025 წლის 30 სექტემბერი.

დამირ მიქელაშვილი
დირექტორი



შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
რეალიზაციიდან მიღებული თანხა	15,487,420	12,664,016
მასალების შესყიდვა	(6,425,222)	(5,605,807)
მომსახურების შესყიდვა	(2,954,514)	(2,882,971)
შრომის ანაზღაურება	(845,160)	(578,032)
გადახდილი გადასახადები	(1,907,220)	(1,788,323)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,084,648)	(1,133,889)
სულ ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,270,656	674,994
ფინანსური საქმიანობა		
სესხის ათვისება	3,035,037	4,119,920
სესხის ძირის გადახდა	(3,549,509)	(3,293,621)
სესხის პროცენტის გადახდა	(286,233)	(191,346)
სესხის გაცემა	(509,628)	(1,111,871)
გაცემული სესხის ძირის მიღება	461,579	856,407
სულ ფული ფინანსური საქმიანობიდან	(848,754)	379,489
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(757,790)	(1,450,681)
სულ ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(757,790)	(1,450,681)
გადაფასება	(62,977)	(4,137)
სულ ფულის მოძრაობა	601,135	(400,335)
ფული პერიოდის დასაწყისში	359,541	759,876
ფული პერიოდის ბოლოს	960,676	359,541

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ, 2025 წლის 30 სექტემბერი.

დამირ მიქელაძე
დირექტორი



შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აი პი ეს“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 24 აგვისტოს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 445490861.

შპს „აი პი ეს“ ფლობს შპს „აი პი ეს ფასადის“ (ს/კ 405509980) 100% იან წილს, და ერთობლივად მოიხსენიება როგორც ჯგუფი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებს.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი მასალით საფასადე სამუშაოების შესრულება, მასალების იმპორტი და გადამუშავება, სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო რეალიზაცია, ჯგუფი ასევე ახორციელებს ავეჯის წარმოებას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #49დ, მეორე სართული, ბინა 1.

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა 2024	წილობრივი მონაწილეობა 2023	ქვეყანა	სფერო	შემენის/ დაფუძნების თარიღი
შპს "აი პი ეს ფასადი"	100%	100%	საქართველი	საფასადე მასალების გადამუშავება	2022 წლის 28 თებერვალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „აი პი ეს ფასადის“ 100% წილის მფლობელი არის შპს „აი პი ეს“, რომლის 100% წილს ფლობს დამირ მიქელაძე (პ/ნ 61006019520).

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი საღირსეო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები საღირსეო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი საღირსეო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „აი პი ეს“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისისა და პროდუქციის რეალიზაციის საანგვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები

ადიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ ადიარდება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის ადიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) ადიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან ადიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების ადიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების ადიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	3-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები

- **ადიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის

მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებოდა დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯრით აღებული ქონება	ჯამი
1 იანვარი 2023	656,990	82,786	20,566	482,788	31,160	840	1,275,130
შესყიდვები	339,685	19,847	989	1,180,069	321,529	905	1,863,024
გაყიდვა	355,325	-	-	-	-	-	355,325
31 დეკემბერი 2023	1,352,000	102,634	21,555	1,662,857	352,689	1,745	3,493,479
შესყიდვები	197,412	40,023	72,046	331,573	3,050	-	644,104
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვა	-	(1,466)	(1,085)	-	-	-	(2,551)
31 დეკემბერი 2024	1,549,412	141,190	92,517	1,994,430	355,739	1,745	4,135,032
ცვეთა							
1 იანვარი 2023	(123,619)	(26,765)	(19,991)	(202,697)	(17,482)	-	(390,554)
ცვეთა	(32,062)	(12,022)	(234)	(120,267)	(11,179)	(840)	(176,605)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(155,681)	(38,787)	(20,225)	(322,965)	(28,661)	(840)	(567,158)
ცვეთა	(49,542)	(17,025)	(4,939)	(89,424)	(25,376)	-	(186,306)
გაყიდვა	-	352	1,085	-	-	-	1,437
31 დეკემბერი 2024	(205,223)	(55,460)	(24,080)	(412,388)	(54,037)	(840)	(752,026)
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2023	533,371	56,021	575	280,091	13,677	840	884,576
31 დეკემბერი 2023	1,196,319	63,847	1,330	1,339,893	324,028	905	2,926,321
31 დეკემბერი 2024	1,344,189	85,730	68,437	1,582,043	301,702	905	3,383,006

შპს „აი პი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. მარაგები

	2024	2023
ფასადის მარაგები	4,696,865	3,380,279
ინტერიერის მარაგები	295,400	369,117
წიშუშები	178,986	145,198
სხვა მარაგები	17,737	151,601
ჯამი	5,188,988	4,046,195

6. სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023
პროდუქციის მიწოდებიდან	432,756	196,767
მომსახურების გაწევიდან	1,223,726	827,102
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	83,589
ჯამი	1,656,482	1,107,458

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი

სესხის ნაშთი	2024	2023
დამფუძნებელზე გაცემული სესხი	77,625	253,903
სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	878,767	619,923
მისაღები პროცენტი		
დამფუძნებელზე გაცემული სესხი	196,383	145,271
სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	221,612	117,497
ჯამი	1,374,388	1,136,594

საპროცენტო შემოსავალი

დამფუძნებელზე გაცემული სესხი	51,113	47,726
სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	104,114	67,190
ჯამი	155,227	114,916

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023
ფული სალაროში	21	32
ფული საბანკო ანგარიშზე	960,655	359,509
ჯამი	960,676	359,541

9. სასესხო ვალდებულებები

სესხის ნაშთი	2024	2023
სს. თი ბი სი ბანკი	-	1,584,113
სს. პროკრედიტ ბანკი	2,190,870	1,077,296
სხვა იურიდიული პირები	-	30,000
გადასახდელი პროცენტი	2024	2023
სხვა იურიდიული პირები	5,388	3,278
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	29,994	29,994
ჯამი	2,226,252	2,724,681

საპროცენტო ხარჯი

	2024	2023
სს. თი ბი სი ბანკი	36,631	97,816
სს. პროკრედიტ ბანკი	240,984	106,488
სხვა იურიდიული პირები	4,478	3,278
საბანკო გარანტიები	46,863	21,770
ჯამი	328,956	229,352

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7,308,726	7,450,133
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	2,093,619	2,324,407
ჯამი	9,402,345	9,774,540

11. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
მიწოდებული მომსახურების ღირებულება	5,660,727	5,625,691
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	1,397,087	1,648,342
ჯამი	7,057,814	7,274,033

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
იჯარის ხარჯი	275,527	190,222
მარკეტინგის ხარჯი	119,355	51,602
საწვავის ხარჯი	80,672	-
მივლინების ხარჯი	47,708	80,240
რემონტის ხარჯი	41,832	15,472
ბანკის ხარჯები	27,821	27,382
კომუნალური ხარჯი	23,190	10,890
დაზღვევის ხარჯი	18,642	11,602
სოციალური დანარიცხები	18,259	14,656
კომუნიკაციის ხარჯები	11,163	14,073
სხვა საგადასახადო ხარჯი	10,474	64,172
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,031	17,753
საოფისე ხარჯი	9,966	7,624
სხვადასხვა მომსახურება	8,097	-
დამხმარე მასალების ხარჯი	651	4,184
სხვა ხარჯები	22,389	12,111
ჯამი	725,777	521,983

შპს „აი პი ეს“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. მოგება (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
კონვერტაცია	(27,819)	(32,630)
სავალუტო საშუალებების გადაფასება	(56,359)	(3,938)
სხვა აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება	(3,321)	(20,126)
ჯამი	(87,499)	(56,694)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.